

საქართველო, თბილისი, 0162, ი.ჭავჭავაძის გამზ. 82; ტელ: +995 32 2 195 015
82 I. Chavchavadze Ave. 0162, Tbilisi, Georgia; Phone: +995 32 2 195 015

N 02-8
18/01/2022

8-7-4-202201181326



ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების

თაობაზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 4.10 პუნქტის, რექტორის თანამდებობრივი ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის 1.6 და 1.7 ქვეპუნქტების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 18 იანვრის №FA-35 წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მიღება ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის;
2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამისთვის განისაზღვროს შემდეგნაირად: 06 ვაკანსია (მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის - 02, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის - 02);
3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების ეტაპები, ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტები განისაზღვროს ბრძანების დანართის შესაბამისად;
4. დაევალოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანს გამოსცეს განკარგულება კომისიის შექმნის თაობაზე არაუგვიანეს 2021 წლის 25 იანვრისა;
5. დაევალოს მარკეტინგის სამსახურს ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. დაევალოს კანცელარიის სამსახურს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ენუქიძე

რექტორი



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი